პლატფორმის გამოყენების და სარგებლობის პირობები

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს პლატფორმის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული სხვადასხვა ტიპის მომსახურებით სარგებლობის წესებს და პირობებს და ამ დოკუმენტზე დათანხმებით ადასტურებთ თქვენს გადაწყვეტილებას პლატფორმით სარგებლობისას იხელმძღვანელოთ წინამდებარე პირობებით და თქვენი უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები, პლატფორმის უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები, განისაზღვროს და დარეგულირდეს ამ პირობების შესაბამისად.

პლატფორმაზე თითოეული მომსახურებით სარგებლობისას იმოქმედებს შესაბამისი მომსახურებისათვის ქვემოთ მოცემული პირობები:

ონლაინ მაღაზიის პირობები

ზოგადი პირობები

წინამდებარე პირობები წარმოადგენს პლატფორმის ონლაინ მაღაზიით სარგებლობის პირობებს და მასზე დათანხმებით ადასტურებთ თქვენს გადაწყვეტილებას პლატფორმაზე ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის შეძენისას ისარგებლოთ და იხელმძღვანელოთ წინამდებარე პირობებით და თქვენი უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები, პლატფორმის უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები, განისაზღვროს და დარეგულირდეს ამ პირობების შესაბამისად.

ეს პირობები წარმოადგენს სავალდებულო ძალის შეთანხმებას თქვენსა და კომპანიას შორის

ტერმინთა განმარტება

აქცია - კომპანიის ან/და პარტნიორი მერჩანტის მიერ მომხმარებლისათვის ფასდაკლებით ან/და წინასწარ განსაზღვრული შეღავათიანი პირობებით შეთავაზებული პროდუქცია, ასევე მომხმარებლისათვის პროდუქციის შეძენისას დამატებითი ბენეფიტის შეთავაზება (მათ შორის დამატებითი მონეტების დარიცხვა), რომლით სარგებლობის უფლებასაც მომხმარებელი იღებს აქციის პირობების შესაბამისად, ;

აქციის პირობები - კომპანიის/პარტნიორი მერჩანტის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული აქციის წესები და პირობები, რომელიც ეცნობება მომხმარებელს პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის სახით;

ანგარიში - მომხმარებლის ანგარიში პალტფორმაზე, სადაც აგროვებს მონეტებს და ახდენს მათ გამოყენებას;

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში შემავალი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

კომპანია/ჩვენ - შპს „პირველი შოპ", საიდენტიფიკაციო ნომერი: 405431714 მისამართი:საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზოვრეთისა და მგალობლიშვილის ქუჩების კუთხეში ელ.ფოსტა: Info@Pirveli.com საკონტაქტო ნომერი:(032)2185577;

მომხმარებელი/თქვენ - ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს პლატფორმის მიერ შეთავაზებული სერვისებით.

მონეტა – ანგარიშზე დაგროვებული/დაგროვებადი ლოიალობის ქულა, რომელიც გამოიყენება პალტფორმაზე სხვადასხვა მომსახურებით სარგებლობისათვის;

პარტნიორი მერჩანტი - ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომლის პროდუქციის ან/და აქციის რეალიზაცია ხორციელდება პლატფორმის საშუალებით;

პლატფორმა – www.Pirveli.ge; www.Pirveli.com;

პროდუქტი/პროდუქცია - ნივთი ან/და მომსახურება, რომლის შეძენის შესაძლებლობა მომხმარებელს აქვს პლატფორმის საშუალებით;

პროდუქტის პირობები - პლატფორმაზე ონლაინ მაღაზიაში განთავსებული პროდუქტის/პროდუქციის პირობები (მათ შორის საგარანტიო პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ეცნობება მომხმარებელს პლატფორმაზე პროდუქციის შეძენისას.

ქოლცენტრი - კომპანიის სატელეფონო მომსახურება, რომელთან დაკავშირებაც მომხმარებელს შეუძლია შემდეგ ნომერზე - (032)2185577;

ხელშეკრულება - წინამდებარე პირობები, რომელზე თანხმობასაც მომხმარებელი გამოხატავს შესაბამისი ველის მონიშვნით პლატფორმაზე და რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

რეგისტრაცია/ავტორიზაცია ონლაინ მაღაზიით სარგებლობისათვის

ონლაინ მაღაზიით სარგებლობა/პროდუქციის შეძენა შეგეძლებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაივლით რეგისტრაციას და ავტორიზაციას პლატფორმაზე.

რეგისტრაციისათვის დაგჭირდებათ შესაბამისად რეგისტრაციის ფანჯარაში გამოტანილ ველებში შემდეგი მონაცემების დაფიქსირება:

- პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებული სახელი და გვარი;
- თქვენი აქტიური ელ-ფოსტის მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი;
- ასევე თქვენ მიერ შემდგომი ავტორიზაციისათვის შერჩეული პაროლი (თქვენ მიერ შერჩეული პაროლი უნდა შეადგინოთ პლატფორმაზე მითითებული წესების შესაბამისად).

რეგისტრაციის დასასრულებლად აუცილებელია დაეთანხმოთ წინამდებარე პირობებს.

რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია ქოლცენტრის საშუალებით;

ქოლცენტრის საშუალებით კომპანიის მიერ მომხმარებლის პლატფორმაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, ასევე ინფორმაცია პლატფორმაზე ავტორიზაციისათვის სავალდებულო მონაცემების შესახებ მომხმარებელს მიეწოდება მის მიერ დაფიქსირებული ელექტორნული ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით.

რეგისტრაციის პროცედურის დასრულებისთანავე ჩაითვლებით პლატფორმაზე რეგისტრირებულ მომხმარებლად გაგეხსნებათ პირადი ანგარიში, გაგიაქტურდებათ ა) პირადი ბალანსი, რომელზეც შესაძლებელი იქნება თანხის განთავსება და ბ) **ანგარიში**, რომელზეც შესაძლებელი იქნება მონეტების დაგროვება.

პირადი ბალანსის/ანგარიშის შევსება

პლატფორმაზე პირადი ბალანსის შევსება შეგიძლიათ განახორციელოთ შემდეგი მეთოდების გამოყენებით:
ა) სწრაფი ჩარიცხვის აპარატის საშუალებით;
ბ) თქვენი ინტერნეტ ბანკის ან/და მობაილ ბანკის გამოყენებით;
გ) სადებეტო/საკრედიტო ბარათის საშუალებით;

პირადი ბალანსიდან თანხის გატანა შესაძლებელია თქვენ მიერ დაფიქსირებულ თქვენივე საბანკო ანგარიშზე ან სხვა უფლებამოსილი პირის ანგარიშზე თუ წარადაგენთ შესაბამის პირზე გაცემულ ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნება განხორციელდება მოთხოვნიდან ან/და ხელშეკრულების

ან/და კონკრეტული შეკვეთის შეწყვეტიდან/გაუქმებიდან (მათ შორის მარაგში პროდუქციის არ არსებობის გამო) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ანგარიშზე მონეტების დაგროვება ხდება თქვენ მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესაბამისად, რომელშიც შედის:

- პლატფორმაზე რეგისტრაცია;
- პლატფორმაზე მეგობრის მოწვევა;
- ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის შეძენა;
- ფასდაკლების ვაუჩერის შეძენა;
- ჯანდაცვის ბარათის შეძენა;
- გასართობი თამაშების წარმატებით დასრულება (გამარჯვება);

პლატფორმაზე განხორციელებული შენაძენისათვის მონეტების დარიცხვა განხორციელდება შეძენილი ნივთის მომხმარებელზე გადაცემის შემდგომ.
მონეტების დაგროვება შეიძლება განხორციელდეს პლატფორმის წინასწარ განსაზღვრულ სატელეფონო ნომერზე ზარის საშუალებით - პლატფორმაზე რეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომრიდან პლატფორმაზე წინასწარ განსაზღვრულ ნომერზე სატელეფონო ზარის განხორციელების შემთხვევაში, მობილური ნომრის ბალანსიდან ჩამოიჭრება 2 (ორი) ლარი, ხოლო **ანგარიშზე** აღირიცხება 100 (ასი) მონეტა. ზარის განხორციელების შემდეგ მომხამრებელს გაეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება შეძენილი მონეტების პლატფორმაზე გამოყენების მიზნით. მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიეწოდება ბმული, რომლის გახსნის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმა. შეტყობინებას თან ერთვის ასევე ერთჯერადი სახელი და პაროლი (user: pass:).

კონკრეტული აქტივობიდან მისაღები მონეტების ოდენობა გეცნობებათ ყოველ ჯერზე შესაბამისი აქტივობის განხორციელებამდე.

კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერი დროს კომპანიის შეცდომის ან/და სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო მომხმარებლის პირად ბალანსზე არასწორად აღრიცხული თანხები ან/და **ანგარიშ**ზე არასაწორად აღრიცხული მონეტები ჩამოჭრას მომხმარებლის პირადი ბალანსიდან ან/და **ანგარიში**დან ცალმხრივად მომხმარებლის დამატებითი თანხმობის ან/და მომხმარებლისთავის დამატებითი შეტყობინების გარეშე.

ონლაინ მაღაზიით სარგებლობისათვის/პროდუქციის შესაძენად აუცილებელია:

- პლატფორმაზე რეგისტრაციისას წარმოგვიდგინოთ ზუსტი და უტყუარი მონაცემები/ინფორმაცია;
- პლატფორმაზე დაფიქსირებული თქვენი მონაცემები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს პლატფორმაზე ავტორიზაციისათვის არ გადასცეთ ნებისმიერ მესამე პირს.
- პლატფორმაზე შეყვანილი ინფორმაცია, პაროლი, მიღებულ რაიმე სხვა კოდი/ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეინახოთ საიდუმლოდ, დაიცვათ, გაუფრთხილდეთ და მიიღოთ ყველა შესაბამისი ზომა მათი გამჟღავნებისაგან თავის დასაცავად;
- არ გამოიყენოთ პლატფორმა ნებისმიერი პერსონალური ან/და სხვა ტიპის ინფორმაციის მოსაპოვებლად ან/და რაიმე ტიპის მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.
- არ გამოიყენოთ პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაცია კომერციული მიზნებისათვის, მათ შორის არ განახორციელოთ პლატფორმაზე არსებული ინფორმაციის დამუშავებას კომერციული მიზნით;
- სრულად იყოთ პასუხისმგებელი თქვენ პირად ანგარიშზე, განხორციელებულ ნებისმიერ აქტივობაზე;
- თქვენი ქმედებებით/აქტივობებით არ დაარღვიოთ სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები;
- დაიცვათ ჩვენი საავტორო უფლებები და არ დაუშვათ პლატფორმაზე განთავსებული ნებისმიერი მონაცემის უნებართვო გამოყენება/სარგებლობა;
- პლატფორმის გამოყენების და სარგებლობისას იმოქმედოთ ამ პირობების შესაბამისად და საფუძველზე.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება

თქვენ მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს შევაგროვებთ და დავამუშავებთ მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების მონიტორინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ან/და სტატისტიკის წარმოების მიზნით.

უფლებას ვიტოვებთ მომსახურების გაწევის პროცესში თქვენგან მიღებული პერსონალური მონაცემები მივაწოდოთ პარტნიორ მერჩანტებს/კომპანიებს, სხვა მესამე

პირებს, პლატფორმით შეთავაზებული სერვისების სრულად და ჯეროვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად ან/და მათი შემდგომი დამუშავების მიზნით.

თქვენი პერსონალური მონაცემები, შესაძლებელია დამუშავდეს და გამოყენებული იქნას ჩვენი და ჩვენი პარტნიორი კომპანიების/მერჩანტების მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაუქმების შემდგომ, ვალდებულებას ვიღებთ უზრუნველვყოთ მოწოდებული ინფორმაციის წაშლა/განადგურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

პასუხისმგებლობა/პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ჩვენ არ ვაგებთ პასუხს:

- პლატფორმაზე განთავსებული პროდუქციის ხარისხზე, პროდუქციის/აქციის უსაფრთხოებაზე ან/და კანონიერებაზე, ასევე პროდუქციის/აქციის შესაბამისობაზე პროდუქციის პირობებში/აღწერაში მითითებულ მონაცემებთან;
- ნებისმიერ ნაკლზე/დაზიანებაზე, რომელიც წარმოიშვა მიმღებისათვის პროდუქციის გადაცემის შემდგომ ან/და მომსახურების გაწევის ეტაპზე;
- ნაკლზე/დაზიანებაზე, რომელიც წარმოიშვა პროდუქციის არასათანადო შეფუთვის ან/და თქვენ მიერ კურიერისთვის პროდუქციის ტრანსპორტირების განსაკუთრებული პირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუტყობინებლობის შედეგად;
- არაუფლებამოსილი პირის მიერ პროდუქციის ჩაბარებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე;
- ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე რომელიც დადგა თქვენ მიერ ავტორიზაციის მონაცემების გამჟღავნების ან/და კომპანიისათვის არასწორი ინფორმაციის წარდგენის შედეგად;
- პარტნიორი მერჩანტის მხრიდან არასათანადოდ გაწეულ მომსახურებაზე (მათ შორის მომსახურების დაყოვნებაზე);
- არაჯეროვანი მომსახურების შედეგად დამდგარ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე/ზარალზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ შემოსავალს, ბიზნესის დანაკარგს და რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანს/ზარალს.
- მომხმარებლის ანგარიშის წაშლის/დაბლოკვის გამო დამდგარი ნებისმიერი შედეგზე;

- პროდუქციის საგარანტიო პირობებზე და პარტნიორი მერჩანტის მიერ პროდუქციაზე საგარანტიო პირობების გავრცელების წესებსა და პირობებზე;
- ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია (ა) ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, პროგრამაში, ელექტრონულ სისტემებში და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევით; (ბ) პროგრამული შეფერხებით; (გ) პროგრამაში სამუშაოდ გამოყენებული მოწყობილობის გაუმართაობით; (დ) ელექტრონული ვირუსით ან ვირუსებით, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს ელექტრონულ მოწყობილობებს, რომლებსაც თქვენ იყენებთ პლატფორმზე მომსახურების მისაღებად;

პირობებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული გარემოებების არსებობისას მომხმარებლის მიერ პროდუქციის უკან დაბრუნების შესაძლებლობა.

კომპანიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული ვითარების გამო, რომელიც არ არის და არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო კომპანიისათვის თქვენ მიერ შეკვეთის განთავსებისას (პროდუქციის შეძენისას), რომელთა თავიდან აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ძალისხმევით და თუკი ასეთი ფორს-მაჟორული ვითარება შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულებას.

ფორს-მაჟორული მდგომარეობის თაობაზე კომპანია გაცნობებთ თქვენ მიერ რეგისტრაციისას დაფიქსირებული საკომუნიკაციო არხებით გონივრულად უმოკლეს ვადაში.

კომუნიკაცია

კომპანია განხორციელებულ/განსახორციელებელ სერვისებთან, ხელშეკრულებასთან ან/და ხელშეკრულების ცვლილებებთან დაკავშირებით ინფორმაციას მოგაწვდით ელექტრონულად, პლატფორმის, თქვენი პირადი ანგარიშის, ელექტრონული ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებით.

პროდუქციის შეძენა

თქვენ მიერ პროდუქციის შეძენის მოთხოვნა ჩვენთვის შესასრულებლად სავალდებულოა საფასურის გადახდის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქცია არ მოიპოვება მარაგში ან/და როდესაც ანაზღაურებას ახორციელებთ ნაღდი ანგარიშსწორებით პროდუქციის მიღებისას.

იმ შემთხვევაში როდესაც პროდუქცია არ მოიპოვება მარაგში კომპანია დაუყოვნებლივ, გონივრულად უმოკლეს ვადაში გაცნობებთ აღნიშნულის თაობაზე და გიბრუნებთ გადახდილ თანხას ამ პირობების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში როდესაც პროდუქციის საფასურის ანაზღაურებას ახორციელებთ შესაბამისად პროდუქციის მიღების ეტაპზე მოთხოვნა შესასრულებლად სავალდებულოა თქვენ მიერ პლატფორმაზე მოთხოვნის/შეკვეთის დაფიქსირების მომენტიდან.

თქვენი მოთხოვნა პლატფორმაზე ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის შეძენის თაობაზე აისახება თქვენ პირად ანგარიშში.

პროდუქციის შერჩევისას/შეძენისას ვალდებული ხართ დეტალურად გაეცნოთ პროდუქციის აღწერას/პირობებს, საგარანტიო პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე აქციის აღწერას/პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საფასურის ანაზღაურების მეთოდს/საშუალებას და პროდუქციის მიწოდების პირობებს.

ჩვენ არ წარმოვადგენთ პროდუქციის მესაკუთრეს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული პირდაპირ მითითებულია პროდუქციის აღწერაში) და ჩვენ მიმართ არ შეიძლება წარდგენილი იქნეს პროდუქციასთან დაკავშირებული რაიმე მოთხოვნა/პრეტენზია, თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული;

პროდუქციას შესაძლებელია თან ახლდეს საგარანტიო პირობები, რომლითაც განსაზღვრული იქნება გარკვეულ შემთხვევებში პროდუქციის შეცვლის ან/და შეკეთების წესები და პირობები, მათ შორის განსაზღვრული იქნება გარანტიის ხანგრძლივობა და მოქმედების ტერიტორია და მისი გასაჩივრებისთვის საჭირო ვადა, მწარმოებლის ან/და პარტნიორი მერჩანტის სახელი და საკონტაქტო მისამართი.

საგარანტიო პირობები განისაზღვრება მწარმოებელი კომპანიის ან/და პარტნიორი მერჩანტის მიერ შესაბამისად საგარანტიო პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზია/მიმართვა წარედგინება პირს, რომელიც საგარანტიო პირობების შესაბამისად პასუხისმგებელი იქნება საგარანტიო მომსახურებაზე.

პროდუქციის შეძენისას მომხმარებელი ვალდებულია დაემორჩილოს იმ პარტნიორი მერჩანტის მიერ დადგენილ წესებს და პირობებს, რომლის პროდუქციის შეძენასაც ახორციელებს, მათ შორის, თუმცა არამხოლოდ, სამუშაო საათების დასაწყისი და დასასრული და სხვა რეგულაციები.

პროდუქცია შეძენილად ჩაითვლება მას შემდეგ რაც უზრუნველყოფთ საფასურის გადახდას წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ანგარიშსწორების პირობები

ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის შეძენისას თქვენ მიერ საფასურის გადახდა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მეთოდით:
1.საკრედიტო/სადებეტო ბარათით;
2.განვადებით;
3.ნაღდი ანგარიშსწორებით;
4. პირად ბალანსზე არსებული თანხის გამოყენებით.

პროდუქციის და მიწოდების საფასურის ან/და სხვა ნებისმიერი გადასახდელის ანაზღაურება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისად მომხმარებელი ვალდებულია წინასწარ შეაფასოს გადახდისას მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე თანხის კონვერტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანახარჯის/დანაკარგის რისკი. კონვერტაციასთან დაკავშირებული საკითხები სცილდება კომპანიის კომპეტენციის ან/და პასუხისმგებლობის ფარგლებს.

კომპანია უფლებამოსილია თქვენ მიერ კონკრეტული პროდუქციის შეძენისას შეზღუდოს ან/და დამატებით შემოგთავაზოთ საფასურის გადახდის ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ერთი ან/და რამდენიმე შესაძლებლობა პარტნიორი მერჩანტის მიერ განსაზღვრული პირობების ან/და თქვენ მიერ შერჩეული პროდუქციის მიწოდების საშუალების გათვალისწინებით, რის შესახებაც ინფორმაციას მიიღებთ პროდუქციის შეძენის ეტაპზე.

იმ შემთხვევაში თუ პროდუქციის პირობებით გათვალისწინებულია ნაღდი ანგარიშსწორების შესაძლებლობა, აღნიშნული მეთოდის შერჩევისას ვალდებული ხართ გადაიხადოს პროდუქციის ან/და მიწოდების საფასურის ზუსტი ოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ან/და შესაბამისი კურიერი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პროდუქციის თქვენთვის გადმოცემაზე.

პროდუქციის მიწოდება

ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის შეძენის შემთხვევაში კომპანია დამატებით გთავაზობთ მიწოდების სერვისს როგორც თბილისში, ასევე თბილისს გარეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

თქვენ მიერ პროდუქციის მიწოდების სერვისის შერჩევა ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი პროდუქციის შეძენისას. გთავაზობთ მიწოდების რამდენიმე ტიპს:

- სტანდარტულ მიტანას თბილისის მასშტაბით 1-ან 2 სამუშაო დღის განმავლობაში;
- საქართველოს ტერიტორიაზე თბილისს გარეთ მიწოდებას 3-დან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

თქვენ ასევე უფლებამოსილი იქნებით აირჩიოთ პროდუქციის გატანა პარტნიორი მერჩანტის მაღაზიიდან ან საწყობიდან.

თქვენ მიერ შეძენილი პროდუქციის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ კომპანიის საკურიერო გუნდი ან/და სხვა კონტრაქტორები.

თქვენ მიერ შერჩეული მიწოდების ტიპის შესაბამისად განისაზღვრება მიწოდების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაემატება პროდუქციის საფასურს.

მიწოდების პირობების (მიწოდების ტიპი, ფასი და დრო) შესახებ ინფორმაცია მოგეწოდებათ წინასწარ პროდუქციის შეძენამდე.

შეძენილი პროდუქცია კურიერმა შესაძლებელია გადასცეს თქვენ მისამართზე მყოფ ნებისმიერ სრულწლოვან პირს თქვენთან შეთანხმებით, თუ აღნიშნული პირი წარადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

პროდუქციის მიწოდების/გადაცემის ადგილია მითითებული მისამართზე სადარბაზოს/ეზოს შესასვლელი კარი. მისამართზე მიტანილი პროდუქციის დაყოვნება და დალოდება განხორციელდება მაქსიმუმ 15 წუთის განმავლობაში, ხოლო თუ აღნიშნულ პერიოდში თქვენ ვერ უზრუნველყოფთ პროდუქციის მიღებას გადასაცემი პროდუქცია ბრუნდება უკან მიმწოდებელთან/მერჩანტთან/კომპანიაში.

სახლის კართან ნივთის მიწოდება ხორციელდება მსუბუქი ნივთების შემთხვევაში. მძიმეწონიანი ნივთების მიწოდება მოხდება სადარბაზოს ან ეზოს კარამდე.

უკან დაბრუნებული პროდუქციის ადგილმდებარეობის დასადგენად უფლებამოსილი იქნებით დაუკავშირდეთ მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას პროდუქციის ადგილმდებარეობის და მისი მიღების პირობების შესახებ.

თუ პროდუქცია დაბრუნდა პარტნიორ მერჩანტთან ან/და კომპანიაში მომხმარებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პროდუქციის განმეორებით მიტანის საფასური დაეკისრება მომხმარებელს.

პროდუქციის მიღებისას ვალდებული ხართ კურიერს წარუდგინოთ პირადობის მოწმობა, ხოლო კურიერი უფლებამოსილია განახორციელოს თქვენი იდენტიფიკაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოგცეთ შეძენილი პროდუქცია.

შეძენილი პროდუქციის უკან დაბრუნება

კანონმდებლობის ან/და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს შეძენილი პროდუქციის უკან დაბრუნების უფლებით.

პროდუქციის უკან დაბრუნებისთვის მომხმარებელი ვალდებულია მიმართოს კომპანიას, შეავსოს და გადააგზავნოს პლატფორმზე განთავსებული პროდუქციის დაბრუნების ფორმა ან/და დაუკავშირდეს კომპანიის მომხმარებელთა მხარდაჭერის მიმართულებას, რომლის წარმომადგენლებიც დაეხმარებიან მომხმარებელს დაბრუნების ფორმის შევსებაში.

დაბრუნების ფორმის შევსებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა მომხმარებელმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის დაბრუნება პარტნიორ მერჩანტთან ან კომპანიაში, კომპანიის მითითების შესაბამისად.

პროდუქცია შეიძლება დაბრუნებას დაექვემდებაროს თუ:

- პროდუქციას აქვს ქარხნული/მწარმოებლის წუნი;
- პროდუქცია არ შეესაბამება პლატფორმზე განთავსებულ აღწერას;
- პროდუქცია დაზიანდა კომპანიის საკურიერო მომსახურების დროს.

კანონმდებლობის შესაბამისად შეძენილი პროდუქტის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მომხმარებელი უფლებამოსილია ყველანაირი მტკიცების ვალდებულების გარეშე უკან დააბრუნოს შეძენილი პროდუქტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა შემდეგი გარემოებები:

- კომპანიამ ან/და პარტნიორმა მერჩანტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია მომხმარებლის წინასწარი თანხმობის საფუძველზე;
- მიწოდებული პროდუქცია მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით არის დამზადებული ან აშკარად მის პირად საჭიროებებზეა მორგებული;
- მიწოდებული პროდუქციის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე არსებულ ცვლილებაზე, რომელსაც კომპანია ან/და პარტნიორი მერჩანტი ვერ აკონტროლებს და რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისთვის ამ პირობებით განსაზღრულ ვადაში წარმოიშვა;
- მიწოდებული პროდუქტი მალფუჭებადია ან მას მოკლე ვარგისობის ვადა აქვს;
- მომხმარებელს მიეწოდა ჰერმეტულად დაცული პროდუქცია, მისი ჰერმეტულობა მიწოდების შემდეგ დაირღვა და, ამდენად, პროდუქციის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო;
- მიწოდებული პროდუქცია მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქტს;
- მიწოდებულ იქნა დალუქული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი ან პროგრამული უზრუნველყოფა და მისი ლუქი მიწოდების შემდეგ დაირღვა;
- მიწოდებულ იქნა ჟურნალ-გაზეთები ან სხვა სახის პერიოდული გამოცემა;
- შეკვეთის ფარგლებში ხელშეკრულება დაიდო კვების ორგანიზებაზე ან დასვენებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე და მასში მითითებულია ხელშეკრულების შესრულების განსაზღვრული თარიღი ან პერიოდი;
- მომხმარებელს ციფრული შინაარსი მიეწოდა არამყარი მატარებლით, ხელშეკრულების შესრულება მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ალკოჰოლური სასმელების მიწოდება, რომელთა ფასი შეთანხმდა ხელშეკრულების დადების მომენტში, ხოლო მიწოდება მოხდება 30 დღის შემდეგ;
- პროდუქტის ღირებულება არ აღემატება 30 (ოცდაათი) ლარს;
- პროდუქტის მოხმარებისას არაა გათვალისწინებული ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- პროდუქცია გახსნილია ან/და გამოყენებულია.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გამონაკლისი შემთხვევებისა, კომპანია უფლებას იტოვებს ყოველ ჯერზე, კონკრეტული შესყიდვის გათვალისწინებით განიხილოს პროდუქციის დაბრუნების შესაძლებლობა და აცნობოს მომხმარებელს პროდუქციის დაბრუნების პირობები, კონკრეტული შემთხვევისათვის.

მომხმარებელი თავის მხრივ ვალდებულია პროდუქციის უკან დაბრუნების მიზნით შეინახოს და წარმოადგინოს საქონლის შეძენის დამადასტურებელი საბუთი (მათ შორის ქვითარი, ჩეკი, საგარანტიო დოკუმენტი), ასევე მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ დოკუმენტებზე მითითებული ინფორმაცია უტყუარი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და გამორიცხავს ყველა შეცდომის შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში თუ პროდუქტს გააჩნია ქარხნული წუნი, არ შეესაბამება პლატფორმაზე განთავსებულ აღწერას ან დაზიანდა საკურიერო მომსახურეობის დროს და მომხმარებელი აბრუნებს პროდუქციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაბრუნების ხარჯებს სრულად ანაზღაურებს კომპანია, ხოლო გადახდილი თანხის დაბრუნება მოხდება მომხმარებლის მიერ მითითებულ მისსავე საბანკო ანგარიშზე (ასევე სხვა უფლებამოსილი პირის ანგარიშზე თუ მომხმარებელი წარადგენს შესაბამის პირზე გაცემულ ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას) ან პლატფორმაზე არსებულ მომხმარებლის პირად ბალანსზე, შეთანხმებული პირობებით პროდუქციის პარტნიორი მერჩანტისათვის ან/და კომპანიისათვის დაბრუნებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში. საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნებისას და დაუყოვნებლივ პირად ბალანსზე თანხის დაბრუნებისას, მომხმარებელს არ დაუბრუნდება სწრაფი მიტანის სერვისისათვის გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში თუ შეძენილი პროდუქცია არ აღმოჩნდება მერჩანტის ან/და კომპანიის მარაგში, კომპანია დაუყოვნებლივ, გონივრულად უმოკლეს ვადაში, აცნობებს მომხმარებელს აღნიშნულის თაობაზე, შესთავაზებს მომხმარებელს ალტერნატივას და ალტერნატივაზე უარის შემთხვევაში უზრუნველყოფს გადახდილი თანხის დაბრუნებას (ასეთ არსებობის შემთხვევაში), ამასთან აღნიშნული გარემოება არ წარმოშობს კომპანიის რაიმე სახის პასუხისმგებლობას ან/და მომხმარებლის მხრიდან ზიანის (ზარალის) ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილებას.
იმ შემთხვევაში თუ შეძენილი პროდუქცია არ აღმოჩნდება მერჩანტის ან/და კომპანიის მარაგში, თუ თანხა უკვე გადახდილია, თანხის დაბრუნება მოხდება პლატფორმაზე არსებულ მომხმარებლის პირად ბალანსზე ან მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ მისსავე

ანგარიშზე (ან სხვა უფლებამოსილი პირის ანგარიშზე თუ მომხმარებელი წარადგენს შესაბამის პირზე გაცემულ ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას) 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების/შეკვეთის ნებისმიერი მიზეზით გაუქმების შემთხვევაში, შეკვეთის საფუძველზე მომხმარებლისათვის დარიცხული მონეტები სრულად უქმდება და ჩამოიჭრება **ანგარიში**დან, ხოლო თუ შესაბამისი შეკვეთის საფუძველზე დარიცხული მონეტები მომხმარებლის მიერ უკვე გამოყენებული იქნა პლატფორმაზე რაიმე ტიპის სერვისის მისაღებად, შესაბამისი, პროპორციული მოცულობის თანხა (მონეტებით შეძენილი სერვისის ღირებულება) ჩამოიჭრება მომხმარებლისათვის დასაბრუნებელი თანხიდან ან/და მომხმარებლის პირადი ბალანსიდან. თუ დაგროვებული მონეტებით მომხმარებელს მიღებული აქვს წამახალისებელი გათამაშების ბილეთ(ებ)ი, გათამაშება ჩატარებულია და მიღებული აქვს პრიზი, ნივთის უკან დაბრუნებისას იგი ვალდებულია დააბრუნოს ასევე მოგებული პრიზიც.
თუ დაგროვებული მონეტებით მომხმარებელს მიღებული აქვს წამახალისებელი გათამაშების ბილეთ(ებ)ი, მაგრამ გათამაშება ჯერ არ ჩატარებულა, ნივთის უკან დაბრუნებისას მას გაუუქმდება მონეტები და წამახალისებელი გათამაშების ბილეთები.

იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი სარგებლობს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში საკუთარი სურვილით პროდუქტის უკან დაბრუნების უფლებით, მომხმარებელი ვალდებულია თავად განახორციელოს პროდუქტის მიტანა საკუთარი ხარჯით, პარტნიორ მერჩანტთან ან კომპანიაში, კომპანიის მიერ მითითებული წესით, დაბრუნების ფორმის შევსებიდან და კომპანიისათვის წარდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

ხელშეკრულება ძალაში შედის თქვენ მიერ პირობებზე თანხმობის ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ფორმით გამოხატვის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე;

ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:

- კომპანიის მიერ, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, მომხმარებლისათვის 15 კალენდარული დღით ადრე, გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;

- კომპანიის მიერ, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, დაუყოვნებლივ, თუ მომხმარებელი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს შეთანხმებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
- მხარეთა შეთანხმებით;
- წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია პლატფორმაზე დაბლოკოს/წაშალოს მომხმარებლის პირადი ანგარიში ან/და გააუქმოს რეგისტრაცია;

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია არ განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი პროდუქტის საკურიერო მომსახურება,

ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომხმარებლის პირად ბალანსზე არსებული თანხა დაუბრუნდება თქვენ მიერ მითითებულ თქვენივე საბანკო ანგარიშზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა უფლებამოსილი პირის ანგარიშზე თუ წარადგენთ შესაბამის პირზე გაცემულ ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, ხოლო **ანგარიშ**ზე არსებული მომენტები უქმდება/ნულდება.

მოქმედი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით;

დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოქმედი განსჯადობის წესების გათვალისწინებით.

სხვა პირობები

კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს მომხმარებლის პლატფორმაზე რეგისტრაციაზე;

კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ცალმხრივად, მომხმარებლისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;

კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს/გადასცეს/გადააკისროს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები და აღნიშნულ უფლებებთან ან/და ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტები/ინფორმაცია ნებისმიერ მესამე პირს;

მომხმარებელი არ არის უფლებამოსილი სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს/გადასცეს/გადააკისროს ნებისმიერ მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები ან/და პლატფორმის მომხმარებლის პირადი ანგარიში;

თუ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების დარჩენილი პუნქტების იურიდიულ ძალაზე;

ხელშეკრულებაში არსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია მომსახურების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით მოგთხოვოთ ხელშეკრულების პირობებზე განმეორებით დათანხმება;

ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით.

წამახალისებელი გათამაშების წესები და პირობები

გათამაშების მოწყობის მიზანი

გათამაშების მოწყობის ძირითად მიზანს წარმოადგენს შპს „პირველი შოპ"-ის კუთვნილი ვებ გვერდ www.pirveli.com.-ზე არსებული ონლაინ სავაჭრო პლატფორმის მომხმარებელთა სურვილი მოეწყოს წამახალისებელი გათამაშება. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებას. არსებული, მაღალი კონკურენციის ფარგლებში წამახალისებელი გათამაშების მოწყობა გაზრდის მომხმარებელთა დაინტერესებას, ხელს შეუწყობს ინტერნეტ-მომხმარებლის სტიმულირებას, მათი რაოდენობისა და კომპანიის ფინანსური შემოსავლების ზრდას.

გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება:

წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც ერთხელ მაინც განახორციელებს პროდუქციის ან/და მომსახურების შეძენას შპს „პირველი შოპ"-ის ინტერნეტ პლატფორმა www.Pirveli.com-ზე და რეგისტრირებულია შესაბამისი წესით. დარიცხული აქვს სულ მცირე 100 მონეტა და საჩუქრად მიღებული აქვს გათამაშების მინიმუმ 1 ბილეთი.

გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ასევე პირს რომელიც სპეციალურად გამოყოფილ ნომერზე 0900100100 ზარის განხორციელებით შეიძენს 100 მონეტას და საჩუქრად მიღეებს გათამაშების 1 ბილეთს. აღნიშნული ზარის ღირებულება შეადგენს 2 ლარს.

ზარის განხორციელების შემდეგ მომხამრებელს გაეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება შეძენილი მონეტების პლატფორმაზე გამოყენებისა და გათამაშებაში ჩართვის მიზნით. მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიეწოდება ბმული, რომლის გახსნის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა შეავსოს რეგისტრაციის ველი. შეტყობინებას თან ერთვის ასევე ერთჯერადი სახელი და პაროლი (user: pass:).

მომხმარებლის რეგისტრაციისთვის საჭიროა სპეციალურად გამოყოფილ ველში შემდეგი მონაცემების მითითება: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სატელეფონო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მომხმარებლის პაროლი (პაროლი საიდუმლოა და მესამე პირზე არ გაიცემა), რომლის შემდგომაც, მომხმარებელს მიენიჭება პლატფორმის ელექტრონულ სისტემაში სარეგისტრაციო ID ნომერი, რომელიც უნიკალურია და არ მეორდება.

რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია ქოლ-ცენტრის ოპერატორის საშუალებით. ქოლ-ცენტრის საშუალებით კომპანიის მიერ მომხმარებლის პლატფორმაზე რეგისტრაციის დროს სავალდებულო მონაცემების შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდება მის მიერ დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით. რეგისტრაციის პროცედურის დასრულებისთანავე მომხმარებელს გაუაქტიურდება პირადი ანგარიში, რომელზეც შესაძლებელი იქნება თანხის განთავსება და მონეტების დაგროვება.

მოთამაშის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს კომპანია იღებს ვებ გვერდზე მომხმრებლის რეგისტრაციის დროს მის მიერ მითითებული სატელეფონო ნომრიდან. შესაბამისად, გათამაშებაში მონაწილე ბილეთებზე ავტომატურად აისახება ის ტელეფონის ნომერი, რომელიც მოხმარებელმა მიუთითა რეგისტრაციის ან/და პროდუქციის ან და მომსახურების მიღების დროს. გამომდინარე აქედან მოთამაშე თავად იღებს პასუხისმგებლობას მონაცემების სრულყოფილად და სწორად მოწოდებაზე.

წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, კომპანიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, მოთამაშის მიერ, წამახალისებელი გათამაშების ბილეთის (ბილეთების) მოპოვება. გათამაშების ბილეთი (ბილეთები) ინტერნეტ-მომხმარებელს ფიზიკურად არ გადაეცემა, კომპანიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინტერნეტ-მომხმარებლის მიერ მოპოვებული გათამაშების ბილეთის (ბილეთების) ასახვას მომხმარებლის პირად გვერდზე. გათამაშების ნებისმიერ ეტაპზე, მომხმარებელს აქვს სრული ინფორმაცია, მის მიერ დაგროვებული ბილეთის (ბილეთების) რაოდენობაზე. ვებ-გვერდზე არსებული სპეციალური ფანჯარის მეშვეობით,

მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეეძლება შეამოწმოს მის მიერ დაგროვილი ბილეთის (ბილეთების) რაოდენობა.

მომხმარებელი პლატფორმაზე ყოველ შეგროვებულ 100 მონეტაზე მიიღებს გათამაშების 1 ბილეთს, რომელიც მონაწილეობს ზედიზედ 3 გათამაშებაში. წამახალისებელი ბილეთის მიღებისას მომხმარებელს არ ჩამოეჭრება კუთვნილი მონეტები. მას საშუალება ექნება დაგროვებული მონეტები გამოიყენოს პროდუქციის ან და მომსახურების შესაძენად.

მონეტების შეგროვების და გათამაშების ბილეთის მიღების რამდენიმე გზა არსებობს:

1. ვებ გვერდზე რეგისტრაციით მომხმარებელი მიიღებს 500 მონეტას და გათამაშების 5 ბილეთს.
2. www.pirveli.com- ზე მომხმარებლის მიერ სასურველი ნივთის ან/და მომსახურების შეძენით.
3. ფასდაკლების ვაუჩერის შეძენით,
4. ჯანდაცვის ბარათის შეძენით,
5. პრომო აქციების დროს მიღებული მონეტებით,
6. პლატფორმაზე მეგობრის მოწვევით,
7. გასართობ თამაშებში მონაწილეობით
8. სპეციალურ სატელეფონო ნომერზე *0900100100 დარეკვით მომხმარებელი შეიძენს 100 მონეტას და მიიღებს საჩუქრად გათამაშების 1 ბილეთს. ზარის ღირებულება შეადგენს 2 ლარს.
9. www.pirveli.com-ზე პირადი კაბინეტიდან მინიმუმ 100 მონეტის შეძენით, რომელიც შესაძლებელია პლატფორმის ბალანსზე არსებული თანხით ან საბანკო ბარათით.

საპრიზო ფონდი

ყოველი გათამაშების საპრიზო ფონდი შეადგენს 10 000 ლარს, რომელიც გადანაწილდება 7 გამარჯვებულზე. პრიზების გათამაშება მოხდება შემდეგი რიგითობით.

1. 500 ლარი
2. 500 ლარი
3. 1000 ლარი
4. 1000 ლარი
5. 2000 ლარი
6. 2000 ლარი
7. 3000 ლარი

გადაცემის მსვლელობისას ერთ მომხმარებელს შეუძლია მოიგოს მხოლოდ ერთი პრიზი, ერთხელ მოგებული მომხმარებლის გათამაშების ბილეთის მეორეჯერ ამოსვლის შემთხვევაში ცალკე გადაიდება გათამაშების ბილეთი, მომხმარებელთან სატელეფონო კავშირის დამყარების გარეშე და დოლურის დაუტრიალებლად ამოღებულ იქნება გათამაშების ახალი ბილეთი.

იმ შემთხვევაში, თუ გათამაშების დროს ამოღებული ბილეთის მითითებულ ნომერზე ფიქსირდება ე.წ. სატელეფონო დაკავება, ან გამორთული სტატუსი, ან არ უპასუხა მომხმარებელმა, მოხდება კიდევ ერთხელ აღნიშნულ ნომერთან დაკავშირება (ე.ი. სულ ორი ცდა) და ბილეთი გაუქმდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ვერ მოხერხდება აბონენტთან დაკავშირება, რის შემდეგაც ბილეთი ანულირდება და დოლურის დატრიალების გარეშე ამოღებულ იქნება ახალი ბილეთი.

გათამაშება გაიმართება ყოველ პარასკევს, „ტვ პირველის" პირდაპირ ეთერში, 19:30 საათზე. პირდაპირი ტრანსლაციის ნახვა შესაძლებელი იქნება www. Pirveli.com-ის ვებგვერდზე და კომპანიის სოციალურ ქსელებში.

მოგებული თანხა მომხმარებელს ავტომატურად დაერიცხება www.pirveli.com არსებულ მის პირად ბალანსზე და მას მომხმარებელი განკარგავს საკუთარი შეხედულებისამებრ.

მოგების გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. მოგება გაიცემა მომხმარებლის მიერ მოგებული პრიზის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) დღისა მისამართზე: ქ. თბილისი, ო. ონიაშვილის ქ. #1. 30 კალენდარულ დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა.

მოგების გასატანად მისამართზე გამოცხადებულმა მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს.

პრეტენზიები მიიღება, გათამაშების ჩატარებიდან 6 კალენდარული დღის განმავლობაში (ამ ვადის ამოწურვის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება) და ის განიხილება მისი წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. პრეტენზიები წარმოდგენილი უნდა იყოს შპს „პირველი შოპ"-ის დირექტორის სახელზე წერილობით (მისამართზე: ქ. თბილისი, ო. ონიაშვილის ქ. #1) ან ელექრონულად (მისამართზე: info@pirveli.com) და განიხილება ერთობლივად შპს-ს დირექტორის და იურისტის მიერ. პასუხი, ეცნობებათ პრეტენზიის წარმომდგენს როგორც წერილობითი ფორმით მიმღების მისამართზე,რომელიც მითითებულია პრეტენზიის წერილობით წარმომდგენის განცხადებაზე (პასუხისმგებლობა მისამართის სისწორეზე ეკისრება პრეტენზიის წარმომდეგენს), ასევე ელექტრონული ფორმით პრეტენზიის წარმომდგენის იმ ელექტრონულ მისამართზე საიდანაც გამოგზავნილი იქნა ელექტრონულად პრეტენზია.

პერსონალური მონაცემების დამუშავება

თქვენ მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს შევაგროვებთ და დავამუშავებთ მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების მონიტორინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ან/და სტატისტიკის წარმოების მიზნით.

უფლებას ვიტოვებთ მომსახურების გაწევის პროცესში თქვენგან მიღებული პერსონალური მონაცემები მივაწოდოთ პარტნიორ მერჩანტებს/კომპანიებს, სხვა მესამე პირებს, პლატფორმით შეთავაზებული სერვისების სრულად და ჯეროვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად ან/და მათი შემდგომი დამუშავების მიზნით.

თქვენი პერსონალური მონაცემები, შესაძლებელია დამუშავდეს და გამოყენებული იქნას ჩვენი და ჩვენი პარტნიორი კომპანიების/მერჩანტების მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაუქმების შემდგომ, ვალდებულებას ვიღებთ უზრუნველვყოთ მოწოდებული ინფორმაციის წაშლა/განადგურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

ფასდაკლების ვაუჩერის პირობები

ზოგადი პირობები

წინამდებარე პირობები წარმოადგენს პლატფორმაზე ფასდაკლების ვაუჩერის შეძენისა და ფასდაკლების ვაუჩერის გამოყენების პირობებს და მასზე დათანხმებით ადასტურებთ თქვენს გადაწყვეტილებას პლატფორმაზე ფასდაკლების ვაუჩერის შეძენისას და აღნიშნული ფასდაკლების ვაუჩერის გამოყენებისას ისარგებლოთ და იხელმძღვანელოთ წინამდებარე პირობებით და თქვენი უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები, პლატფორმის უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები, განისაზღვროს და დარეგულირდეს ამ პირობების შესაბამისად.

ეს პირობები წარმოადგენს სავალდებულო ძალის შეთანხმებას თქვენსა და კომპანიას შორის

ტერმინთა განმარტება

აქცია - კომპანიის ან/და პარტნიორი მერჩანტის მიერ მომხმარებლისათვის ფასდაკლებით ან/და წინასწარ განსაზღვრული შეღავათიანი პირობებით შეთავაზებული მომსახურება ასევე მომხმარებლისათვის მომსახურების შეძენისას დამატებითი ბენეფიტის შეთავაზება (მათ შორის დამატებითი მონეტების დარიცხვა), რომლით სარგებლობის უფლებასაც მომხმარებელი იღებს აქციის პირობების შესაბამისად;

აქციის პირობები - კომპანიის/პარტნიორი მერჩანტის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული აქციის წესები და პირობები, რომელიც ეცნობება მომხმარებელს პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის სახით;

ანგარიში - მომხმარებლის ანგარიში პალტფორმაზე, სადაც აგროვებს მონეტებს და ახდენს მათ გამოყენებას;

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში შემავალი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

კომპანია/ჩვენ - შპს „პირველი შოპ", საიდენტიფიკაციო ნომერი: 405431714 მისამართი:საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზოვრეთისა და მგალობლიშვილის ქუჩების კუთხეში ელ.ფოსტა: info@Pirveli.com საკონტაქტო ნომერი:(032)2185577;

მომხმარებელი/თქვენ - ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს პლატფორმის მიერ შეთავაზებული სერვისებით.

მონეტა – ანგარიშაზე დაგროვებული/დაგროვებადი ლოიალობის ქულა, რომელიც გამოიყენება პალტფორმაზე სხვადასხვა მომსახურებით სარგებლობისათვის;

პარტნიორი მერჩანტი - ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომლის ფასდაკლების ვაუჩერის ან/და აქციის რეალიზაცია ხორციელდება პლატფორმის საშუალებით;
პლატფორმა – www.Pirveli.ge; www.Pirveli.com;
ქოლცენტრი - კომპანიის სატელეფონო მომსახურება, რომელთან დაკავშირებაც მომხმარებელს შეუძლია შემდეგ ნომერზე - (032)2185577;
ხელშეკრულება - წინამდებარე პირობები, რომელზე თანხმობასაც მომხმარებელი გამოხატავს შესაბამისი ველის მონიშვნით პლატფორმაზე და რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

რეგისტრაცია/ავტორიზაცია ფასდაკლების ვაუჩერის შეძენისა და გამოყენებისათვის

ფასდაკლების ვაუჩერის შეძენა შეგეძლებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაივლით რეგისტრაციას და ავტორიზაციას პლატფორმაზე.

რეგისტრაციისათვის დაგჭირდებათ შესაბამისად რეგისტრაციის ფანჯარაში გამოტანილ ველებში შემდეგი მონაცემების დაფიქსირება:

- პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებული სახელი და გვარი;
- თქვენი აქტიური ელ-ფოსტის მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი;
- ასევე თქვენ მიერ შემდგომი ავტორიზაციისათვის შერჩეული პაროლი (თქვენ მიერ შერჩეული პაროლი უნდა შეადგინოთ პლატფორმაზე მითითებული წესების შესაბამისად).

რეგისტრაციის დასასრულებლად აუცილებელია დაეთანხმოთ წინამდებარე პირობებს.

რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია ქოლ ცენტრის საშუალებით;

ქოლცენტრის საშუალებით კომპანიის მიერ მომხმარებლის პლატფორმაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, ასევე ინფორმაცია პლატფორმაზე ავტორიზაციისათვის სავალდებულო მონაცემების შესახებ მომხმარებელს მიეწოდება მის მიერ დაფიქსირებული ელექტორნული ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით.

რეგისტრაციის პროცედურის დასრულებისთანავე ჩაითვლებით პლატფორმაზე რეგისტრირებულ მომხმარებლად გაგეხსნებათ პირადი ანგარიში, გაგიაქტურდებათ ა) პირადი ბალანსი, რომელზეც შესაძლებელი იქნება თანხის განთავსება და ბ) **ანგარიში**, რომელზეც შესაძლებელი იქნება მონეტების დაგროვება.

პირადი ბალანსის/ანგარიშის შევსება

პლატფორმაზე პირადი ბალანსის შევსება შეგიძლიათ განახორციელოთ შემდეგი მეთოდების გამოყენებით:
ა) სწრაფი ჩარიცხვის აპარატის საშუალებით;
ბ) თქვენი ინტერნეტ ბანკის ან/და მობაილ ბანკის გამოყენებით;
გ) სადებეტო/საკრედიტო ბარათის საშუალებით;

პირადი ბალანსიდან თანხის გატანა შესაძლებელია თქვენ მიერ დაფიქსირებულ თქვენივე საბანკო ანგარიშზე ან სხვა უფლებამოსილი პირის ანგარიშზე თუ წარადგენთ შესაბამის პირზე გაცემულ ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნება განხორციელდება მოთხოვნიდან ან/და ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ანგარიშიში მონეტების დაგროვება ხდება თქვენ მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესაბამისად, რომელშიც შედის:

- პლატფორმაზე რეგისტრაცია;
- პლატფორმაზე მეგობრის მოწვევა;
- ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის შეძენა;
- ფასდაკლების ვაუჩერის შეძენა;
- ჯანდაცვის ბარათის შეძენა;
- გასართობი თამაშების წარმატებით დასრულება (გამარჯვება);

მონეტების დაგროვება შეიძლება განხორციელდეს პლატფორმის წინასწარ განსაზღვრულ სატელეფონო ნომერზე ზარის საშუალებით - პლატფორმაზე რეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომრიდან პლატფორმაზე წინასწარ განსაზღვრულ ნომერზე სატელეფონო ზარის განხორციელების შემთხვევაში, მობილური ნომრის ბალანსიდან ჩამოიჭრება 2 (ორი) ლარი, ხოლო **ანგარიშზე** აღირიცხება 100 (ასი) მონეტა. ზარის განხორციელების შემდეგ მომხამრებელს გაეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება შეძენილი მონეტების პლატფორმაზე გამოყენების მიზნით. მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიეწოდება ბმული, რომლის გახსნის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმა. შეტყობინებას თან ერთვის ასევე ერთჯერადი სახელი და პაროლი (user: pass:).

კონკრეტული აქტივობიდან მისაღები მონეტების ოდენობა გეცნობებათ ყოველ ჯერზე შესაბამისი აქტივობის განხორციელებამდე.

კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერი დროს კომპანიის შეცდომის ან/და სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო მომხმარებლის პირად ბალანსზე არასწორად აღრიცხული თანხები ან/და **ანგარიშ**ზე არასაწორად აღრიცხული მონეტები ჩამოჭრას მომხმარებლის პირადი ბალანსიდან ან/და **ანგარიში**ადან ცალმხრივად მომხმარებლის დამატებითი თანხმობის ან/და მომხმარებლისთავის დამატებითი შეტყობინების გარეშე.

ფასდაკლების ვაუჩერის შესაძენად აუცილებელია:

- პლატფორმაზე რეგისტრაციის მომენტში იყოთ საქართველოს სრულწლოვანი (არანაკლებ 18 წლის) მოქალაქე;
- პლატფორმაზე რეგისტრაციისას წარმოგვიდგინოთ ზუსტი და უტყუარი მონაცემები/ინფორმაცია;
- პლატფორმაზე დაფიქსირებული თქვენი მონაცემები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს პლატფორმაზე ავტორიზაციისათვის არ გადასცეთ ნებისმიერ მესამე პირს.
- პლატფორმაზე შეყვანილი ინფორმაცია, პაროლი, მიღებულ რაიმე სხვა კოდი/ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეინახოთ საიდუმლოდ, დაიცვათ, გაუფრთხილდეთ და მიიღოთ ყველა შესაბამისი ზომა მათი გამჟღავნებისაგან თავის დასაცავად;
- არ გამოიყენოთ პლატფორმა ნებისმიერი პერსონალური ან/და სხვა ტიპის ინფორმაციის მოსაპოვებლად ან/და რაიმე ტიპის მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.
- არ გამოიყენოთ პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაცია კომერციული მიზნებისათვის, მათ შორის არ განახორციელოთ პლატფორმაზე არსებული ინფორმაციის დამუშავებას კომერციული მიზნით;
- სრულად იყოთ პასუხისმგებელი თქვენ პირად ანგარიშზე, განხორციელებულ ნებისმიერ აქტივობაზე;
- თქვენი ქმედებებით/აქტივობებით არ დაარღვიოთ სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები;
- დაიცვათ ჩვენი საავტორო უფლებები და არ დაუშვათ პლატფორმაზე განთავსებული ნებისმიერი მონაცემის უნებართვო გამოყენება/სარგებლობა;

- პლატფორმის გამოყენების და სარგებლობისას იმოქმედოთ ამ პირობების შესაბამისად და საფუძველზე.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება

თქვენ მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს შევაგროვებთ და დავამუშავებთ მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების მონიტორინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ან/და სტატისტიკის წარმოების მიზნით.
უფლებას ვიტოვებთ მომსახურების გაწევის პროცესში თქვენგან მიღებული პერსონალური მონაცემები მივაწოდოთ პარტნიორ მერჩანტებს/კომპანიებს, სხვა მესამე პირებს, პლატფორმით შეთავაზებული სერვისების სრულად და ჯეროვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად ან/და მათი შემდგომი დამუშავების მიზნით.
თქვენი პერსონალური მონაცემები, შესაძლებელია დამუშავდეს და გამოყენებული იქნას ჩვენი და ჩვენი პარტნიორი კომპანიების/მერჩანტების მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.
თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაუქმების შემდგომ, ვალდებულებას ვიღებთ უზრუნველვყოთ მოწოდებული ინფორმაციის წაშლა/განადგურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

პასუხისმგებლობა/პასუხისმგებლობის შეზღუდვა

გარდა ამ პირობებით გამონაკლისი შემთხვევებისა ჩვენ არ ვაგებთ პასუხს:

- პლატფორმაზე განთავსებული ფასდაკლების ვაუჩერის ფარგლებში პარტნიორი მერჩანტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე, უსაფრთხოებაზე ან/და კანონიერებაზე, ასევე პარტნიორი მერჩანტის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისობაზე ფასდაკლების ვაუჩერის პირობებში/აღწერაში მითითებულ მონაცემებთან;
- პარტნიორი მერჩანტის მხრიდან არასათანადოდ გაწეულ მომსახურებაზე (მათ შორის მომსახურების დაყოვნებაზე);
- ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე რომელიც დადგა თქვენ მიერ ავტორიზაციის მონაცემების გამჟღავნების ან/და კომპანიისათვის არასწორი ინფორმაციის წარდგენის შედეგად;

